სახალხო გაზეთი

№ 415 სამშაბათი, 4 ოქტომბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე მეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი მეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამკლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხალამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სოტრასპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ედირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკეს ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მოსკოვაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

წელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. ხალამოთი 5-დან 7-მდე.

წელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრ ობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოგზავნა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სახალხოს ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: [illegible]ლებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо [illegible]" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და საალიტერატურო გამოცემა.

„სახალხო გაზეთი"

ხუთათებიანი დამატებით

1 ივნობისთვიდან წლის ბოლომდე

ღირს 2 მან. 40 კაპ.

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარეთ . . . . 80 კაპ.

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი". (п. я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სახალხოს ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესასვლელი ეზოდან.

დ. ყვირილაში

„ორიენტის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა

„სახალხო გაზეთზე".

აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

ნიკოლოზ ხევცურიანი და ეკატერინე თევზაია გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მიიცვალა მათი მამა

მღვდელი ვასილი ხევცურიანი

დაკრძალვა დანიშნულია ხუთშაბათს, 6 ოქტომბერს, წირვის შემდეგ მწირველი იქნება გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ლეონიდი. (2.1527.1)

თეკლე ალექსანდრე ამირაჯიბის ასული უზნაძისა და შვილები სულიკო და მიხეილ ლევანის ძენი უზნაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ გარდაიცვალა

ლევან სოლომონის ძე უზნაძე.

დაკრძალვა 4 ოქტომბერს, ცხინვალში. (1.862.1)

ტელეფ. № 795. ახალი კლუბი ტელეფ. № 795

სამშაბათს, 4 ოქტომბერს, 1911 წ.

საოჯახო საღამო

დაუკრავს ვენის სიმეგრანი ორკესტრი

და საზანდარი გამოჩენილის მარტინას გამგეობით.

სტუმრები გადიხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდ. 25 კ.

ანგარიში: ოთხშაბათს და პარასკევს, 4 და 7 ოქტომბერს იაფი ლოტო. (1.1514.1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 8 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზე,

ქ-ნი გარგარე კლ. ას. ხერხეულიძე წაიკითხავს

ლექციას: • გედნიერებამდე •

პროგრამა: ოჯახი და ქორწინება წარსულში. სიყვარული და მისი მნიშვნელობა საზოგადოდ. თავისუფლება და ბედნიერება. შესაძლებელი ცვლილებანი ოჯახისა და ქორწინებისა ბედნიერებამდე.

ადგილების ფასი 5 - 50 კ. (3.858.2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

საშუალოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ბპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფარადოვანი ლ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

ბედნეანიშვილი ს. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., 10½—11 ს.

დიკოთანი რ. ხ.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

ბადალაშვილი ვ. ვ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ხ. შინაგანი. ორშაბათობით ოთხშაბ. 9—10 ს.

ბენსეფოლი ვ. ს. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

ბუხსელიშვილი ვ. ხ.—თვალისა, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½ საათ.,

მზარეულიანი ს. ი.—ყანისა და ყვერ. ყოველ დღე, 1—1½ ს.

ბედიანი ნ. ნ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხობოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

ოიკანაძე ი. ე.—ქალის სხ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. ვ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროსკოპიული და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. ვ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაციები, კონსულტაციები, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეიძლება. საფასურით. (წ.—1039—574)

ექიმი ქალი კბილისა ოლ. ელისბარიშვილი-ბანტარიანი ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და ხალამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.

ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბარიშვილისა. (თ.—1451—42)

ექიმი ე. ვ. ბაშაკიძე

იღებს მინაგან ნსეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., ხალამოთი 5—7 ს. ბაქრის ქუჩა N 12 (—148)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი სვანიშვილისა.

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი ტელეფ. № 795.

სეზონის დასაწყისი

ოთხშაბათს, 5 ოქტომბერს, 1911 წ. ხეზონის ბენეფისად

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დავით ერისთავის ცნობილი პიესა საბეჭოგლო, ისტ. დრამა 5 მოქ. და 6 სურ.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი დავითაშვილი, ვიქტორელი, ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი ალადელი, აბდუშელი, ბერიშვილი, გუნია, გვარაძე, გამყრელიძე, გედევანოვი, ზეხნი, მატარაძე, მგალობლიშვილი, მათირიშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი ხალამოს 8 ს.

ანგარიში: მზადდება წარმოსადგენად: მოციქული, ნორჩი თაობა, ქალის ჭკუა, ჯადოსანი, ანტიგონა და სხვა.

(2.861.1)-რეჟისორი ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი. ადმინისტ. ქ. რ. დრამ. საზ.

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, ხალამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—152)

მიიღება ხელის-მოწერა

მხოლოდ 15 ოქტომბრამდე

არჩილ ჯორჯაძის

თხზულებათა მე-4 წიგნზე.

წერილები „ცნობის ფურცელ" მოამბიდან" 1901—2 წ.

ხელის მოწერით ღირება 45 კაპ. (გამოვა 300 გვ. მეტი).

ფოსტის ხარჯად 10 კაპ.

„ორიენტის" ახალი გამოცემა.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად მე-6 წიგნი

„დრამები და კომედიები"

შედგენილი ვ. აბაშიძის მიერ.

წიგნში მოთავსებულია შემდეგი პიესები:

1. „მსხვერპლი", დრა 3 მოქ., ი. გვდევანიშვილისა.
2. „პირია მონასტერი", ფარსი 3 მოქ., გადმოკ. გ. გუნიასი და თ. სახოკიასი.
3. „გაბატონებული მსახური", კომედ. 1 მოქ., ვ. აბაშიძისა.
4. „პარიზელი ბიჭი", კომედ. 2 მოქ., თარგმანი მ. ჯორჯაძისა.
5. „რეპეტიცია", ხუმ. 1 მოქ. აკაკი წერეთლისა.
6. „დიდ როლს ვთამაშობ", ვოდევ. 1 მოქ., თარგ. ი. ვეფოლშვილისა.
7. „ცელქები", ხუმ. ვოდევ. 1 მოქმედებ. თარგ. ეფროსინე ნიკოლაძე-ბიბინაძისა.

წიგნი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, შეიცავს 352 გვერდს და ღირს 1 მან., გაგზავნით ფოსტით 1 მან. 40 კაპ.; მშვენიერ ყდაში გაკეთებული კი 1 მ. 90 კაპ. გაგზავნით. წიგნი იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიაში. მსურველთ გაეგზავნებათ ფას-დადებითაც.

ვისაც სურს პირდაპირ წიგნის გამოწერა, მან უნდა მიმართოს შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, типографія „Сорапань". (3.1523.4)

სამკურნალო

ხელოვნებიანი ხამწედრო ექიმებისა გარეგან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მაზლობლად, ტელეფონი N 181.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. ბ. ახმახოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ-დღე 12-1.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.

კალამკარიანი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდიგერ—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ხუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელიანოვიჩოვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ითხელიანსა—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყულამბარიანი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშვებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს ხალამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსაამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ.—1526—2)

ექიმი ბ. ნ. ბაბაკიანი

მინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. ხმეგიალური ავადმყ., კუჭისა და წელვენისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.). და 5—7 ს. (ხაზოგ.). მიბეჭილის პროსპექტ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—39

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და ხალამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარეგან ეოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ხ. ბაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. ლიახანიძე—ყოველ დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ს. ა. ბობოვი—ყოველ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ხ. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

ს. ა. ბიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. ს. ხელიდეევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური ანალიზები; ბერეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მოიოგვითი

წამლოგა „606"-ით.

(წ.—1090—172)

ექიმი ივ. გოგოლაძე.

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილით 8—12 საათ. ხალამოთი 5—7 ს.-მდე.

ვერაზე, ოლგას ქუჩა, № 20.

(თ.—818—16)

ექიმი ე. ი. მინასიანცი.

მინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. ნსეულებათა, პარიზელ პროფ. Mathieu-ს ხმეგიალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და ხალამოს 6—7 საათამდე.

ბელიაბედიდის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (190—1117—16)

ექიმი კბილისა ალ. ხოლოდაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და ხალ. 5—7 ს-მდე. ალოდვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

ექიმი შ. ა. ბიძელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა ნსეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე ხალამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის.

მედიცინის დოქტორი

ი. გ. ჩუდნოვსკი

კირიჩნი ქ., სახ. № 13, ტელეფონი 1090 ოფიცერთა ეკონომ. საზოგ. პირდაპირ იღებს შინაგან და ნერვიანი ავადმყოფთ ყოველ-დღე დილის 9—11 ს. ხალამოს, 5—8 ს.-მდე. (20—1420—27)

ელექტროენერგია და რენტგენის

ხანძარსანალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., ხალ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის ხსივებით. ვერა, ყოფილ ანიფეის ქ., N 20. (წ.—1249—14)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

ხანგურნალო აკადემიის ხამშობიარო და ხალფუტაქრო ალინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ. დედათაბუნების, ხალფუტაქრო და ხაშარდე ორგანოთა (გენერიულის გარდა) ხნეულებით ავადმყოფ ბანდილოსნებს. ყოველ დღე ხალამ. 5—7-მდის. კიროჩნი ქ. ხახ. N 18, თავ. ვახნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ ხაზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

ხაშარდე ორგანოთა ხნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—839—9)

ექიმი პ. არდაზიანი

მინაგან და ბავშვ. ავადმყოფ. (ხმეგიალ. ფილტვების ხნეულება, ხიხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები).

ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. ხალამოს 5—7. (25.822.13)

ექიმი მიხეილ ალაჯანოვი

ხპეციალისტი ხაშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ხნეულებათა, დაბრუნდა, და განაახლა ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 1—4 საათამდე და ხალამოს 7—9 ს.-დე. მიხეილის ქ., ტელეფ. 38, (10.1496.9)



(25—1456—22)

სომხური პრესა

გაზ. „სურჰანდაკის" მე-402 ნომერში დასტამბულია მეთაური წერილი საქალაქო არჩევნების შესახებ. ეი რასა სწერს წერილის ავტორი ამ გაზეთის რედაქტორი ა. ერიციანი თვის ორგანოში.

„მოახლოვდა ქალაქის ხმოსანთა არჩევნების დღე და ტფილისის ქართველი ზოგიერთი პუბლიცისტები ძლიერის ენერგიით ცდილობენ ერთა საერთა შორისო განხეთქილების ეკლები დათესონ მცხოვრებთა სხვა და სხვა წრეებში.

მათ ალაპარაკებს ვითომდა მოვალეობის გრძნობა, მაგრამ სიმართლე ის არის, რომ მათ განზრახვა აქვთ განახორციელონ თავიანთი ვიწრო ნაციონალისტური ინტერესები: ამისთვის ქართველი ამომრჩევლები ჩქარობენ დღეს გადაიხადონ თავიანთი საქალაქო გადასახადები, რათა საშუალება მიეცეთ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ, განსაკუთრებით სომხების გასაშავებლად. სომხებმა საქართველოს დედა ქალაქი ტფილისი ხელში ჩაიგდეს და ქართველებს ადგილს არ აძლევენ, საჭიროა ამ ვამპირებიდან დავიხსნათ სამშობლო დედა ქალაქი, რომლის პატრონნი ქართველები უნდა იყვნენო,—ეი ის ლოზუნგი, რომელიც გამოაცხადეს ოდესმე „ერთიანის და ძმობის" მქადაგებელმა ფარისეველ პუბლიცისტებმა იმ ხალხში, რომელიც სოციალურ მოძღვრებას ჰქადაგებს, როდესაც საქმე სხვების შევხება, ხოლო თვის საკუთარ ინტერესების ფარგალში ძლავ შოვინისტურ აზროვნებით არის გამსჭვალული. ქართველ შოვინისტების უკმაყოფილება თვითეულ პირის, თვითეულ პარტიის ანუ თვითეულ კლასის წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, არამედ მთელ ეროვნების წინააღმდეგაა; ამ შემთხვევაში გაციდებით ეფრო სამწუხარო ის არის, რომ ამ უაზრო და უსაფუძვლო უკმაყოფილებას ხშირად უვიცობით მხარს უჭერს სომეხი, ეგრედ წოდებული კოსმოპოლიტები. როდესაც საარჩევნო ბრძოლა ასეთი ცუდი გზით წინ მიჰყავთ, როდესაც არჩევნებში ხალხი მონაწილეობას არა თუ მოქალაქობრივი მოვალეობის გრძნობით იღებენ, არამედ შოვინისტურ განზრახვით, რას აკეთებენ სომხის ის ამომრჩევლები, რომელთაც მეტი უფლება აქვთ ილაპარაკონ ტფილისის საქალაქო საქმეების შესახებ, რადგანაც ქალაქის მცხოვრებელთა 1/3 სომხები წარმოადგენენ, მაშასადამე ყველაზე უმთავრესი ინტერესები ამ ქალაქში მათ აქვთ? სომეხ ამომრჩეველთ ჩვენ წინადადებას არ ვაძლევთ ცუდის ბიზნით და შოვინისტურ განზრახვით მივიდნენ ხაქალაქო არჩევნებზე. ჩვენ არ ვამბობთ, რომ სომეხ ამომრჩეველმა თავიანთი კენჭი უსათუოდ სომხებს მისცენ; არა ჩვენ ამ გვარი აზრი არა გვაქვს. ჩვენ მხოლოდ წინადადებას ვაძლევთ, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მოვსპოთ, სომხებმაც საჩქაროდ გადაიხადონ თავიანთი საქალაქო ვალები და არჩევნების დროს თავიანთი კენჭი მისცენ ხაზოგადოების ბეშმარიტ ინტერესებით გამსჭვალულ მოღვაწეებს, განურჩევლად ხარწმუნოებისა და ეროვნებისა, რომელთაც შეეძლოთ არსებითი, საგრძნობი საქმე გააკეთონ ქალაქის სასარგებლოდ. დღემდე ტფილისის საქალაქო თვითმართველობის მოღვაწეთ, რომელნიც უმთავრესად სომხებისაგან შესდგებოდნენ, შეძლებისა დაგვარად უზრუნვიათ ქალაქის სასარგებლოდ.

ტფილისის საქალაქო ხმოსნები იქნება ერთად ერთნი ყოფილან დღემდე მთელს რუსეთში, რომელთაც ხაზოგადო ასპარეზზე უმუშავიათ შოვინისტურ განზრახვის გარეშე და დღემდე მყოფი ხმოსნები თავიანთ გონებრივი და ზნეობრივი მხარეთი ერთად მაღლა მდგარან უაზროდ მოლაპარაკე იმ ჯაუშებზე, რომელთაც დიდი სურვილი აქვთ საქალაქო საქმეების ბატონ პატრონებად გადაიქცნენ. სომეხი ამომრჩეველები მოედანზე უნდა გამოვიდნენ ხაზოგადო ქადის მოტრფიალეთა დასამხვრევად და იმედების გასაუქმებლად".

ეს წერილი ბევრის მხრითაა საინტერესო. გაზეთსა ჰსურს დაგვიმტკიცოს, რომ ქართველები ნაციონალისტურს ნიადაგზე დგანან, და საბუთად მხოლოდ ის უცნაური მოვლენა მოჰყავს, რომ „ქართველი ამომრჩეველები ჩქარობენ დღეს გადიხადონ თავიანთი საქალაქო გადასახადები. ცარიელ სიტყვების მეტი „სურჰანდაკს" ალარავითარი დასამტკიცებელი საბუთი არ მოჰყავს. ეგრამ საინტერესო ის არის, რომ იგი სომხებს ურჩევს იმასვე, რაც ჩვენს თვალში ნაციონალიზმად ეჩვენება—გადასახადების საჩქაროდ შეტანას.

საყურადღებოა ისიც, რომ ეს სომხური გაზეთი გუნდრუკს უკმევს სომხის ხაზოგადოების იმ ბურჟუაზიულ ნაწილს, რომელიც დღეს არის გაბატონებული ქალაქის თვითმმართველობაში. გაზეთის აზრით, ეს ისეთი ჯგუფია, რომელიც ნაციონალისტურ სურვილებით არასოდეს არა ყოფილა აღტურვილი. ნეტავი ვიცოდეთ, ვის დაჯერებს გაზეთი „სურჰანდაკი" ამისთანა სიტყვებით? ან რა ფასი უნდა ჰქონდეს ჩვენთვის თვით „სურჰანდაკი"-ს აზრს, როდესაც ქართველების გამოსვლა საარჩევნო ასპარეზზე ვერ მოუნელებია და მიუტევებელ დანაშაულებად მიიჩნია ქართველების კანონიერი და ბუნებრივი მოთხოვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ნაკლებ საყურადღებო და სიმპტომატიურია ის საყვედური, რომელსაც გაზეთი უთვლის სომხის „კოსმოპოლიტებს“. ამ საყვედურში ნათლად გამოსჩენილია დაფარული აზრები და გრძნობები სომხის ნაციონალისტისა, რომელსაც არა სურს ხელიდან გამოეცალოს ბატონობა, დავამშვიდებთ „სურპანდაკს“ და ყველა იმას, ვინც მისსავით ჰფიქრობს, რომ არავითარ ბატონობაზე ქართველები არ ოცნებობენ, მაგრამ არც ის შეუძლიანთ, რომ გულგრილი მოწმენი გახდნენ ყველა იმისა, რაც მათ გარშემო ხდება...

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ტფ. გუბერნატორი,** რომელიც კახეთს იყო წასული, 2 ოქტომბერს ტფილისში დაბრუნდა.

✦ **ქალაქის საბჭოს იურიდიულ კომისიის** კრება მოჰხდება დღეს, საღამოს 8 საათზე. განსახილველი აქვს 4 საკითხი.

✦ **ქართულ თეატრის სეზონის გახსნა.** ხვალ 5 ოქტომბერს ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასი სეზონსა ხსნის დ. ერისთავის ტრადიციონულ „სამშობლოთი“.

✦ პეტერ. დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ აფხაზეთში კულტურის გასაძლიერებლად სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება **ლიხნისა და ალოარში საცდელ მინდვრებს აარსებს** ბალოსნობისა, მინდვრის მოვლისა და ბამბის მოყვანის შესასწავლადო.

✦ როგორც გავიგეთ ამ მოკლე ხანში ზუბალოვის სახალხო სახლში მოხდება ლიტერატურული **გასამართლება „გიორგი სააკაძისა“.** გასამართლება იქნება ან. ფუცელაძის დრამის მიხედვით „დიდი მოურავი“. მონაწილეობას მიიღებენ **ექ. ივ. გომართელი, ნაფ. ვექ. იოსებ მაჭავარიანი. (დამცველები) მალაქია ტოროშელიძე (ბრალმდებელი) და ვექ. შალ. მესხიშვილი (თავმჯდომარე)**

✦ **„ნაკადული“.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადული“ს მორიგი ნომერი: მოზრდილთათვის (9) და მცირეწლოვანთათვის (18).

საზოგადოებანი და კრებები.

✦ „ახალი ჯგუფის“ კრებები 1, 4 და 5 საარჩევნო უბანში არ შესდგა, რადგანაც კრებაზე დასასწრებად ოროლა-სამსამი კაცი მოვიდა.

✦ **ტფილისის საბირჟო კომიტეტის** სხდომაზე, ა. ნ. მილოვის თავმჯდომარეობით განიხილეს საკითხი მატარებლის მეოთხე ხარისხის ვაგონების შესახებ. კრებამ დაადგინა, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამართველოს წინაშე შუამდგომლობა აღძრან, რათა ბაქო-ბათომს შუა შემოღებულ იქმნას სამგზავრო მატარებლებში მე-4 კლასის ვაგონებიც. შემდეგ სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლად ერთხმად აირჩიეს ალექსანდრე ხაზარის ძე მილოვი.

სასამართლო

✦ სენატმა უყურადღებოდ დასტოვა საჩივარი აფიცრის იოსელიანისა და მსახიობ ქალის ჯოხაძისა, რომელთაც პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა აქვთ გადაწყვეტილი ვლადივოსტოკის ბანკიდან ყალბის საბუთებით 100,000 მან. მიღებისთვის.

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** სიღნაღიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ პარასკევს 7 ოქტომბრისათვის, საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის პირველ განყოფილებაში დანიშნულია განსახილველად ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის **ვ. ვლადიმეროვის საქმე,** რომელსაც ბრალად ედება შარშან თავის ოლის დაღრჩობა. გამოწვეულია 20 მოწმე. ბრალმდებელს ნაფიცი ვექილი გრუზენბერგი იცავს.

რკინის გზა

✦ **ხად. ხაშური.** 30 სექტემბერს ბაკურიანის გზის მეორე ვერსზე სამგზავრო მატარებელმა ხანჯლებით დაკეპილ ალექსანდრე ორჯონიკიძის გვამს გადაუარა., მკვლელები ადმოუჩენელია. მიზეზიც არ იციან

✦ **სოფ. დარკვეთი.** 2 ოქტომბერს შორაპნის მაზრის მცხოვრები ნარიმან ნიჭაბუჩიძე ვაგონიდან გადმოვარდა და მძიმედ დაშავდა.

სომეხთა ცხოვრება

✦ ენკენისთვის 28-ს, ტფილისში გარდაცვალებული საზოგადო მოღვაწე ნაფიცი ვექილი კ. იადუბიანი ღვინობისთვის 1-ს მიწას მიაბარეს.

✦ ოქტომბრის 1-ს კავკასიის საქველმოქმედო საზოგადოების დარბაზში მოხდა სომეხთა დრამატიულ საზოგადოების წევრთა წლიური კრება. კრებამ განიხილა საზოგადოების არსებობის 10 წლის იუბილეის საკითხი და დაადგინა, დაავალოს გამგეობას, რომ მან მოიწვიოს საქმის მცოდნე პირები და მათი დახმარებით მოაწყოს ამ საქმის ღირსეულად მოწყობა.

დასასრულ კრებამ აირჩია პიესების გამსინჯველი ბიურო.

✦ ოქტომბრის 8-ს მოხდება სომეხთა გამომცემელ საზოგადოების წევრების კრება, რომელიც აირჩევს გამგეობის სარედაქციო კომისიას.

✦ კავკასიის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების 30 წლის არსებობის იუბილეის გადახდა მოხდება მიმდინარე წლის დეკემბრის 18-ს. ამ დღესასწაულის აღსანიშნავად საზოგადოების გამგეობას დაუდგენია დააარსოს ფონდი სომხის ლარიბ მასწავლებელთათვის.

ქუთაისი

✦ 30 სექტემბერს სამხედრო სასამართლო ცნობილ **აფრახიონ მერკვილაძის წითელ რაზმის საქმის** გარჩევას შუდგა. სამართალში მიცემულია 28 კაცი. მოწმე ორასზე მეტია. საქმე ხალხის დაუსწრებლად არჩევა და ვარაუდით ერთს თვეს გასტანს. სასამართლოს დარბაზს ჯარისკაცთა მთელი როტას დარაჯობს.

ბათომი

✦ ქალაქის საავადმყოფოს უფროს ექიმად არჩეულ იქმნა ტფილისის კერძო (ექ. მელიქიშვილის) სამკურნალოს დოსტაქარი მ. სობოლევსკი.

ახალციხე

✦ ნებართვა მიღებულია, როადგილობრივ გაიხსნას ვაჭართა **საერთაერთო ნდობის გამსესხებელი ბანკი.** როგორც სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, საქმეს, მომავალი 1913 წლიდანვე შეუდგებიან.

✦ ადგილობრივ **პროგიმნაზიის** განახლებულ შენობაში სწავლა 19 სექტემბერს დაიწყო.

✦ რაბათის ქართველებს ძლივას ეღირსათ და გაეხსნათ **საქალაქო პირველ-დაწყებითი სასწავლებელი;** სწავლა 20 სექტ. დაიწყო.

✦ სახალხო სკოლათა ინსპექტორმა ბ. სემენოვმა სამღვთოსჯულის მასწავლებელ ივანე ბარიკალოვს მოსწერა, რათადაიაროს სოფლები: არალი, წყალთბილა და სვილისი და დაათვალიეროს მათი საეკლესიო ძველი სკოლის შენობანი თუ რავდენად გამოსადეგი იქნებიან სწავლისათვის, **რადგანაც** ინსპექტორი ამ ადგილებში სამინისტრო სასწავლებლებსა ჰხსნის.

ბ. ბარიკალოვს უკვე დაუვლია და მოსწონებია კიდეც შენობები, რაც უცნობებია ინსპექტორისათვის.

მასწავლებლებს, სემენოვი ახლავე გამოგზავნის თურმე ამ სოფლებში და სწავლასაც დაიწყებენ.

პროვინცია

✦ **სოფ. თვალევი** (დუშეთის მაზრა) 30 სექტემბერს შებინდებისას აქაურ ვაჭრის **ბესარიონ შანიძის** დუქანში ათამდე შეიარაღებული ყაჩაღი შევიდა და ფული მოსთხოვეს. ფულიც წაიღეს და ბ. შანიძეც იქვე მოჰკლეს. დუქანში მყოფ ხევსურისათვის მოუთხოვია ხანჯალი ჩამოეხსნა. ხევსური შეეურჩა და ხანჯლის ამოღებას შეეცადა, მაგრამ ბოროტ-მოქმედებმა მაუზერები დაუხალეს და ისიც იქვე მოჰკლეს. შემდეგ მახლობელ ხეობაში მიიმალნენ. მათ საერობო დარაჯთა რაზმი დაეძებნა.

✦ **სოფ. მაჭარაში** (დუშეთის მაზ.) უცნობ ბოროტმოქმედებმა სოფლის ახლო მდებარე სამლოცველოს კარები შეამტვრიეს და წაიღეს 60 მან. ღირებული ვერცხლის ჯვარი, 20 მან. ვერცხლის ბარძიმი და იოანე ნათლისმცემლის და ღვთისმშობლის ხატები.

✦ **სოფ. ახმეტა.** (თიანეთის მაზრა). უცნობი ბოროტმომქმედი ივანე ფარსიაშვილის ქალის, მარიამის,—მოტაცებას შეეცადა, მაგრამ მეზობლების აურზაურმა ხელი შეუშალა; ბოროტმომქმედმა მარიამი ხანჯლით დასჭრა და მიიმალა.

✦ **სოფ. საქაშეთი.** (გორის მაზრა) გაბრიელ ხუციშვილმა სოფ. ახალ დაბის მცხოვრები იოსებ მდინარაძე თოფით მოჰკლა.

✦ **სოფ. ბაზალეთი** (დუშეთის მაზრა) იობაშვილის საბძელსა და სათივეს ცეცხლი წაუკიდეს. ზარალი 300 მანეთამდეა.

✦ ქ. ახალციხელმა პავლე გრიგოლის ძე ბეთანოვმა 19 წლის ქალს ნატალია გ.-ს. უსირცხვილო წინადადება მისცა. ქალმა პოლიციაში განაცხადა. საქმე ბრალმდებელს გადაეცა. ბეთანოვი მეიპყრეს.

შეცდომის გასწორება. „სახალხო გაზ.“ ის მე-414 ნომერში მოთავსებულ პატარა ფელეტონში **შეცდომითაა დაბეჭდილი:** „უიმედობა არის ჩემი არარაობა“ **უნდა იყოს:** „უმისობა არის ჩემი არარაობა“.

დეპეშა

(საგუთარი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. 2 ოქტომბერს ღამით რეალურ სასწავლებლის საცეკვაო სადამოზე მძიმედ დასჭრეს გიმნაზიის დირექტორი გლუშაკოვი და რეალურ სასწავლებლის დირექტორი ლეონტიევი. ბოროტ-მომქმედი ვერ შეიპყრეს.

ქუთაისი. კვირას, 2 ოქტომბერს, რეალურ სასწავლებელში გამართულ საცეკვაო საღამოზე, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ სხვა სასწავლებელთა მასწავლებელნი და მოსწავლენი, ვიღაც უცნობმა ორჯელ ესროლა რევოლვერი კლასიკურ გიმნაზიის დირექტორს გლუშაკოვს. ერთი ტყვია მოჰხვდა გულთან. ჭრილობა, როგორც დოსტაქარმა როდძევიჩმა განაცხადა, სასიკვდილოა. ამის შემდეგ მსროლელი მიუბრუნდა რეალურ სასწავლებლის დირექტორს ბ-ნ ლეონტიევს და ესროლა; მისი ჭრილობა იმავე დასტაქარმა მსუბუქად იცნო. მსროლელს ხელში ეცა მოსწავლე-ქალი, მაგრამ მკვლელმა ისარგებლა იმ შემთხვევით, რომ ქალს ისტერიკა მოუვიდა, თავი გაინთავისუფლა და გაიქცა. რევოლვერი ბრაუნინგის სისტემისა ეზოში იპოვეს.

სროლის პირველ ხანებშივე მოვიდა გუბერნატორი, ტელეფონით გამოიწვიეს პოლიცმეისტერი და პოლიციის დარაჯნი, რომლებმაც მთელ შენობასა და ეზოს ალყა შემოარტყეს და დაიწყეს ჩხრეკა. ... ...

იტალიისა და ოსმალეთის ომი

დეპეშები

30 სექტემბერი.

ლონდონი. რეიტერს მალტიდან ატყობინებენ ტრიპოლიში ხოლერით ოთხი გარდაიცვალაო.

ქაირი. ეგვიპტის მთავრობამ პორტ-საიდის სავაჭროებს უბრძანა, არც ერთ მეომარ მხარეს ქვა-ნახშირი არ მიჰყიდოთო.

რომი. „დეტ-პუბლაკ-ოტომან“-ის გამგეობის პრეზიდენტმა პროტესტი განაცხადა ჯიოლიტის, ტრიპოლისა და კირენაიკიდან ჩვენის ელჩებულების მოსაესახურენი, რომელნიც გადასახადს აგროვებენ, რად გააძევეთო. ჯიოლიტიმ უპასუხა, ჩემივე თაოსნობით ზომებს მივიღებ, რომ „დეტ პუბლიკ“-ის უცხოელმა კრედიტორებმა არ იზარალონო.

ტრიპოლი. ჯარის უფროსი გენერალი კანევა მცხოვრებთ უცხადებს, იმისთვისა ვარ გამოგზავნილი, მცხოვრებნი ოსმალეთის მონობისაგან ვიხსნა, თავისუფლება მივანიჭო და მჩაგვრელნი დავსაჯოო. იტალიის მეფის ხელნიც ტრიპოლი ისლამის ქვეყნად დარჩებაო.

რომი. „სტეფანი“ უარჰყოფს გაზეთებით გავრცელებულ ცნობას, ვითომც დერნასთან იტალიელები დაამარცხესო.

სტამბოლი. მოვიდა ინგლისის განთქმული პუბლიცისტი სტედი. მან მინისტრი ინახულა და წინადადება მისცა, ტრიპოლის საკითხი ჰაეგის ტრიბუნალს გადაეცითო. თუმცა წინადადებას პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მინისტრი მაინც დაჰპირდა, მოვიფიქრებო.

ოტომანის საგენტო უარჰყოფს ვითომც მას მაკედონიაში ჯარის თავმოყრა გამოეცხადებინოს.

ზავის ჩამოსაგდებად სახელმწიფოებთან პორტას მოლაპარაკება ჯერ არ დამთავრებულა. ზავის სიახლოვე საეჭვოა.

სოფია. მინისტრთა საბჭოში ერთმა მინისტრმა განაცხადა, ბულგარეთი ნეიტრალიტეტს მტკიცედ იცავს და ოსმალეთის შეიარაღებას არაფრით უპასუხებსო. მთავრობას პორტასი და სახელმწიფოების იმედი აქვს და დიპლომატიურის გზით იმოქმედებსო. ჯარის თავმოყრა არ მოხდება. ოსმალეთი თავის დღეში ბულგარეთს არ დაეცემა. საამისო ეჭვი მხოლოდ ჯარის ჯგუფებად განაწილებამ გამოიწვია. ეს კი ერთნაირ სულის განწყობილებას ჰქმნის, რომელსაც შეიძლება არა სასურველი შედეგი მოჰყვესო.

სტამბოლი. იტალიელ ჟურნალისტებს წინადადება მისცეს, ერთ დღე-დამის განმავლობაში ოსმალეთი დასტოვეთო.

სტამბოლი. რუსეთის საელჩომ წუხელის პორტას პასუხი მიიღო, რომლითაც სრუტეში გავლის ნება ეძლევა პურით დატვირთულ გემებს, რომლებიც ნეიტრალ ნავთსადგურს მიემგზავრებიან. იტალიაში პურის გატანა ნებადართულია, თუ გემი სამხედრო ნავთსადგურს სპეციას, ჩივიტა-ვეკიას, ნეაპოლსა, ტორენტოს, ბარის, ბრინდიზსა, ანკონასა, სტაბიას, კატანიასა და სირაკუზში არ მიდის. იკრძალება აგრედვე ხორბლეულის მიწოდება იტალიის ჯარისა, იტალიის მთავრობისა და პროვიანტის მიმწოდებლებისათვის.

დეპუტატთა წინასწარმა თათბირმა გამოარკვია, რომ ოპოზიციამ 67 კაცის ჯგუფი უნდა შეადგინოს. ეს ჯგუფი კაბინეთის წინააღმდეგ გაილაშქრებს, მის დაცემასა და ქიამილ-ფაშის დიდ ვეზირად დანიშვნას შეეცდება. კომიტეტის ფრაქცია უკმაყოფილოა კაბინეთის შემარიგებელ პოლიტიკით და ომს დაჟინებით თხოულობს. ამბობენ, კაბინეთი იძულებული იქნება გადადგეს, ან პალატა დაითხოვოსო. პალატის პრეზიდენტს წინასწარ კენჭი უყარეს, მაგრამ ვერაფერი ვერ გამოარკვიეს. პარლამენტს ხონთქარი 1 ოქტომბერს გაჰხსნის.

რომი. ოსმალეთის მთავრობამ გერმანიის საელჩოს შეატყობინა შეატყობინა, იტალიის ყველა სავაჭრო გემებს დავატყვევებთ, თუ ოსმალეთის საზღვრებში მოვასწარითო. ნეიტრალ სახელმწიფოთა საქონელს მხოლოდ მაშინ დაატყვევებენ, თუ იგი სამხედრო კონტრაბანდას წარმოადგენს.

ტრიპოლი. გადმოსხმულ ჯარის პირველი ეშელონი შესდგება მხედართა რამდენიმე ესკადრონისა, საპიორთა როტისა და მებარგულეთაგან. სამხედრო საგზალი და სანოვაგე ბლომადაა.

რომი. სტეფანი იუწყება, იტალიელებსა და ოსმალებს შორის სტამბოლიდან გავრცელებული ცნობა (ბრძოლის თაობაზე), ვითომ იტალიელებს 160 კაცი დაჰკარგოდეთ, ტყუილიაო. „ჯიორნალე-დ-იტალიის“ ტრიპოლიდან ატყობინებენ, ოსმალები ნაპირს 100 კილომეტრით დაჰშორდნენო. მუნირ-ფაშას უნდა ჯარი ორფელის,

---

მგზავრის შენიშვნები

(თეძმის ხეობიდგან).

არ მახსოვს, ისე ნასიამოვნები დავბრუნებულვიყავ ოდესმე სოფლიდან ზაფხულის შემდეგ, როგორც წრეულს. უმთავრესი გარემოება, რომელმაც სასიამოვნო ცვლილება შეიტანა ჩემს ჩვეულებრივ საადგილო დროს გატარებაში, იყო მოკლე ხნით მოგზაურობა თეძმის ხეობაში, უფრო-კი მის ერთს ნაწილში—მთიულებში, სადაც ბევრი საგულისხმო რამ არის დაცული, დამარხული დღევანდლამდე ჩვენი ისტორიულ-კულტურულ წარსულისა, რის თაობაზედაც მე მსურს გამოვესაუბრო მკითხველს რამდენიმე წერილში.

1.

რკინის გზის სადგურ გრაკლიდან (გორის ქვეით პირველი სადგურია) აღმოსავლეთისაკენ ხუთი ვერსის მანძილზე გვხდებათ მთის პატარა მდინარე თეძმი, რომლის მისადევარს უძველეს დროიდან თეძმის ხეობა ეწოდება. ბუნებით, ჰავით და ნიადაგით თანაბარი არ არის ხეობა და სხვა-და-სხვაობის მიხედვით იგი ორად იყოფება: ბარისა და მთის ნაწილად. ბარის ნაწილს უჭირავს დაცემული მინდორი; მთის ნაწილი შეჭრილა თრიალეთის მთის კალთებში, საცა ჭკარებისა და თორის მთების შორის დასაწყისს იღებს თითონ თეძმიც. მისი დასაწყისი არის ხეობის დასავლეთი მხარე: აქედან თეძმი დაქანებული მოჰქუხს ღრმა ხევში ჯერ აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ სოფ. რკონთან. 1) დაუხვევს ქვევით—ჩრდილოეთისაკენ და მოდის აქეთ-იქით გორებით შემოზღუდულს ვიწრო ველში ვიდრე ს. ერთა-წმინდის გასწვრივ მდებარე, ეგრედ წოდებული, „ჭალის ვენახებამდე“: აქ თეძმი გადის ბარში, ივლებს განიერ რიყეს და ს. სასირეთთან მტკვარს უერთდება. შესართავიდან „ჭალის ვენახებამდე“ თეძმის მიდამოებს ვუწოდებთ ბარის ნაწილს და მის ზევით-კი—მთის ნაწილს.

თეძმის პირად ბარის ნაწილში, მტკვრიდან მარჯვნივ ასდევს შემდეგი სოფლები: სასირეთი, ზემო-ხანდაკი, ფაშიანი და ახალ-სოფელი; მარცხნივ: ბარნაბიანთ-კარი, ზოზეთი, ახალ-ქალაქი, გარიყელი, კაშრაშიანი, ერთა წმინდა და წყობიანი; ბარნაბიანთ-კარის გაყოლიებაზე მტკვრის პირად მდებარეობს: შეტკი, ბორტა და კომი; უკანასკნელთან ახლოს—ს. ნაბა.

ვახუშტის დროს მთელი მინდორი მეტეხისა და გომის შორის ჭალას სჭერია. „გორიდან მეტეხამდინ არის ჭალა სხერტისა“ო,—ამბობს ვახუშტი[2]). ვგონებთ, რომ დღევანდელი სასირეთის ჭალაც უნდა იყოს გაგრძელება „სხერტის ჭალისა“; სასირეთის ჭალა კიდევ შემოსდევნებია თეძმს ვიდრე ერთა წმინდის „ჭალის ვენახებამდე“ და, როგორც ჰხედავთ, მეტი წილი ხეობის ბარის ნაწილისა ჭალით ყოფილა დაფარული; მაგრამ ხალხი გამრავლებულა, სოფლებს უმატნია, ჭალა გაუკაფნიათ და სახნავ-სათეს მინდვრად უქცევიათ. აქ ჰავა ცხელია, ნიადაგი ფიცხი და ნოყიერია. მცხოვრებლები განსაკუთრებით ხვნა-თესვას მისდევენ, მაგრამ სახნავი მინდორის სივიწროისა გამო იძულებულნი არიან სოფელ გარეთაც ეძიონ სამუშაო. ამიტომ ხშირად შეხვდებით, რომ, თუ ოჯახში ორი ან სამი მოსწრებული ახალგაზდაა, ერთი მათგანი უსათუოდ გარედ—რკინის გზაზე ან ქალაქად—არის სამუშაოდ გასული. მტკვრის პირის სოფლელები აგრედვე მეტიეობასაც მისდევენ. ვენახები აკლებულია ფილოქსერისაგან, რომელთანაც ბრძოლაში გლეხი, მოკლებული სამეურნეო პრაქტიკულ საშვალებებს, უსახსროა. ვაზისაგან იმედ გაცრუებული გლეხი ხილისაგან გამოელის ორიოდე გროშს და აქაც უფრო მეტს სარგებლობს სხვა მხრიდან მოსული ბაყალი, რომელსაც სულ უფასოდ გააქვს სოფლიდან ხილი

თეძმს დიდი სარგებლობა მოაქვს: მით ირწყვება მთელი სახნავი მინდვრები და ვენახები არამც თუ მარტო მის ხეობაზე, არამედ ხოგდის ხეობაზედაც, რომელიც პირველისაკენ დასავლეთით მდებარეობს და საცა უწინ ბრინჯი და ბამბაც-კი მოჰყავდათ თურმე, მაგრამ დღეს მათი მოყვანის წარმოდგენაც აღარა აქვს ადგილობრივ მცხოვრებს. თეძმითვე ჩამოაქვთ ბარში ტივის ხეები. მკითხველს არ ეგონოს ვითომ თეძმის წყალზე ტივებსა ჰკრავდნენ. საქმე ასეა ხეობის მთებში, საცა საშენებელი მასალა იჭრება, დიდი უგზოობაა. როცა მოსჭრიან ხეს, როგორმე მიაცოცებენ ყინულზე თეძმამდის გზაფხულზე, როცა წყალი მოდიდდება, სათითოდ ჩაუშვებენ თეძმში ხეებს და ისე გაშლილი მოაქვს წყალს და დანიშნულს ადგილზე ჰრიყავენ ამდენ სიკეთესთან თეძმს ერთი ფრიად საგრძნობელი სიავეცა სჭირს. წყალ-დიდობას მთის ნაწილში სალს კლდეებს რომ ვერაფერს აკლებს, თავის ბრაზს ბარის ვენახებზე ყრილობს: ადგილს იტაცებს, ლამავს და შეაქვს რიყე. გარდა ამისა, ს. ს. ახალქალაქისა და ზემო-ხანდაკის შუა თეძმს დაგდებული აქვს თითქმის ერთი ვერის სიგანეზე რიყე, საცა გადის საურმე გზა. ამ გზით სწარმოებდა ყოველნაირი მოძრაობა ქ. ქ. გორისა და ტფილისის მორის, მანამ რკინის გზა გავიდოდა და დღესაც ამ გზაზე დიდი მოძრაობაა ეტლით, ურმით და სხვ., მაგრამ გაზაფხულზე გიჟი თეძმის მეოხებით მოძრაობა სწყდება ხოლმე: გზას იტაცებს, ბევრს ადგილას ჰხრამავს და მუდამ წლივ ჰბეგრავს მიდამო სოფლებს ხელ-ახლად გზის გაყვანით, ასეთია თეძმის კარგი და ცუდი მხარეები.

ადმინისტრატიულად თეძმის ხეობა ს. ახალქალაქის საბოქაულოში შედის და ხუთ სამამასახლისოდ განიყოფება; ახალქალაქისა, ერთა-წმინდისა, ზემო-ხანდაკისა, მეტეხისა და გომისა. მოსახლეობა ხეობაზე ყველგან ქართველურია გარდა სოფ. ახალქალაქისა, საცა თითქმის რვა-სამდე კომლიდან ასი კომლი არც კი იქნება ქართველობა დანარჩენი სულ სომხობაა. აქაურ სომხებს უწინ ქართველებიდან ვერ გამოარჩევდით თურმე ლაპარაკში.

ენა და ბევრი ზნე-ჩვეულება საერთო ჰქონდათ ქართველებთან, მაგრამ 1905—1906 წლებში შემოუტანიათ გარედან მთაში სომხური თვით-ცნობიერება, რომელიც უფრო და უფრო ფეხს იკიდებს.

ამ მხრივ დიადი ღვაწლი მიუძღვის ზაფხულობით საადგილოდ მისულს სომხის ახალგაზდობას, რომელიც უქმად არ ატარებს ზაფხულის დღეებს და სისტემატიურად ჰმართავს სომხურს ენაზე წარმოდგენებს. ახალ-

1) ამ ადგილს პატონიშვილი ვახუშტი „საქართველოს გეოგრაფია“-ში იხსენიებს „კორკოზს“-ად.

2) ვახუშტი „საქართველოს გეოგრაფია“. გვ. 79.

სეფრენის და ტარხონის არაბებს შეუერთოს. იგივე სცდილობს ისინი იტალიელების წინააღმდეგ აამხედროს, მაგრამ ჯერ ვერაფერს გახდა. მუნირ ფაშას 1000 დაღლილ-დაჭანცული ჯარისკაცი ჰყავს და რამდენიმე სამთო ბატარეია აქვს.

„ტრიბ.“ ატყობინებენ, ტრიპოლიში მშვიდობიანობაო. ოსმალები ჯერ არა სჩანან. ირწმუნებიან, ოსმალებს სამხედრო სურსათი არა აქვთო. მათში ავადმყოფობა არის გავრცელებული. ოსმალებს, სტრატეგიის მხრით, მშვენიერი პოზიცია უჭირავთ სამხრეთ ტრიპოლიში.

რომი. სტეფანი იუწყება, ოსმალეთის 200 ქვეითა ჯარისკაცი ბუმელონის დასავლეთის მხრივ იტალიის სიმაგრეს დაეცა. ოსმალებმა სროლა ასტეხეს, იტალიელებმაც უპასუხეს. იტალიელებმა გემიდანაც ზარბაზანი ესროლეს. ერთის სათაის სროლის შემდეგ ოსმალებმა უკან დაიხიეს. მათ ბრძოლის ველზე ერთი მოკლული და ტყვიის მტყორცნელი დარჩათ. იტალიელთა ორი ჯარისკაცი დაჭრილი.

მასოვიდან იუწყებიან, ერიტრეიში ჯარის თავმოყრა კარგად მიდის და საზოგადოდ მცხოვრებთ იტალიის მომხრეობა ემჩნევათო. ახალშენის სამხედრო ძალა, რომელიც 14 სექტემბერს 3,700 კაცისაგან შესდგებოდა, 27 სექტემბერს 10,000 ავიდა. ზოგიერთი გაწვეული ჯარისკაცი იძულებული იყო 7 დღე ფეხით ევლო და დანიშნულ ადგილს გამოცხადებულიყო. ტრიპოლიდან იუწყებიან, გენერალმა კანევამ დაჰერილ ადგილების სამოქალაქო და სამხედრო უწყების მართვა-გამგეობა უკვე ჩაიბარაო. კანევამ ელჩი, იტალიის ახალშენთა წარმომადგენელი და არაბთა ნოტაბლები მიიღო. ნაღმმიუკარებელი „ფრეჩია“ კოდეს წააწყდა. შიგ მსხდომნი გადაარჩინეს.

სტამბოლი. ხონთქარი მემკვიდრითურთ პარლამენტში მოვიდა. მის გამოვლის დროს ქუჩაში ჯარი ორრიგად იდგა. სამხედრო მუსიკა უკრავდა. ხონთქარს მხედართა გვარდია ახლდა, პარლამენტში მოსვლისას, ხონთქარმა თავისი ლოჟა დაიჭირა და კრებას თავი დაუკრა. კრებამაც მდუმარედ თავი დაუკრა. ვეზირი იმმა მინისტრმა აიყვანა კათედრაზე. მან წაიკითხა სეფე სიტყვა, რომელსაც სიჩუმით შეხვდნენ. მერმე ლოცვა წარმოსთქვეს. ხონთქარი წავიდა. ჯარი ძველ იანიჩართა ძახილით შეხვდა: „მრავალ-ჟამიერ დაუმარცხებელსაო“.

სეფე-სიტყვა პირველად დეპუტატებს სალამს უძღვნის და ღმერთს მადლობას სწირავს, ხონთქარს შეაძლებინა პარლამენტის მეოთხე სესიის დადგენილ კანონებს განხორციელება. აგრედვე ზომებისა, რომლებიც პროგრესისა, განვითარებისა და ხალხში განათლების გავრცელებისათვის საჭიროა; იმ დროს, როდესაც ჩვენი ფინანსების მიხედვით იგი რკინის-გზისა და გზა-ტკეცილების გაკეთებას იწყებდა, რომელიც ხალხის კეთილდღეობისათვის აუცილებელია; იმ დროს, როცა მთავრობა სცდილობდა სავაჭრო ნავთსადგურების დაარსებას, წარსულის აუარებელ შეცდომათა გასწორებას, —მან იტალიის მთავრობისაგან ულტიმატუმი მიიღო. იტალია სცდილობდა გარეგან ლეგალობით ტრიპოლის პროვინციის დაპყრობის სურვილი დაეფარა. იმპერატორის მთავრობამ აღნიშნულ ვადაზე პასუხი გასცა. იგი მზად იყო მოლაპარაკება დაეწყო და იტალიის საეკონომიო მისწრაფებანი სახეში მიეღო იმდენად, რამდენადაც იგი არსებულ ტრაქტატებს, იმპერიის უფლებასა და დირსებას შეჰფეროდა. იმპერატორის მთავრობამ იმ დროსვე მოითხოვა, რაც შეიძლება სისწორით ყოფილიყო აღნიშნული მოთხოვნილება, რომ მოლაპარაკება დაეწყო. იტალიის მთავრობამ ყურადა არ იღო იმპერატორის მთავრობის რწმუნება, თხოვნა და განმარტება, მან ომი გამოგვიცხადა მისგანვე დანიშნულ 24 საათის ვადის გასვლამდე. იტალიის მთავრობამ სამტრო მოქმედება მაშინ დაიწყო, როდესაც მისი სამხედრო გემები ტრიპოლზე იერიშით მივიდა, მეორის მხრივ მან საერთაშორისო ხელშეკრულება დაარღვია. იტალიელებმა, ადრიატიკაში შეხვედრისას, ჩვენს ნაღ მოსნებს სროლა დაუწყეს. ნაღმოსნებმა ჯერ ომისა არაფერი იცოდნენ და მეგობარ ერთა გემებთან ერთად ზეიმით მიიღეს იტალიელები. იტალიისაგან ოტომანის ადრიატიკაზე ზოგიერთ ადგილების, ტრიპოლისა და კირენაიკის დაპერის სურვილისა და ომის უცოდინარ გემებზე დაცემის გამო, იძულებულ ვიქმენით მოგვეწვია პარლამენტი დანიშნულ ვადაზე ადრე. ჩემმა მთავრობამ მაშინვე მეგობარ სახელმწიფოებს მიჰმართა და დახმარება სთხოვა, რათა ბოლო მოგვეღო ომისათვის იმ პირობათა მიხედვით, რომლებიც ჩვენს წმინდა და კანონიერ უფლებას არ ეწინააღმდეგება. ეს ომი საერთაშორისო უფლებას, სამართლიანობასა და ყველგან მშვიდობის მოყვარეობის გამოჩენას ეწინააღმდეგება. ჩემი მთავრობა სამშვიდობო მოლაპარაკებასა და სახელმწიფოთა პასუხს ელის და ეხლა კი თავის უფლებასა და კანონიერ ინტერესის დაცვას შეუდგა. იტალიის მიერ ჩვენი ეროვნულ ღირსებისა და უფლებათა აბუჩად აგდება ყველა განათლებული ერი გააკვირვა და აღაშფოთა. ამ დაცემამ ჩვენი მშვიდობიანი პროგრესიული მსვლელობა შეაჩერა. ჩვენი მთავრობა სცდილობდა მშვიდობიანობა დაეცვა, კონსტიტუციის მიერ მინიჭებული კეთილდღეობით ესარგებლნა, რათა ქონებრივი მდგომარეობის და დროის პირობათა მიხედვით, უზრუნველეყო ქვეყნის კულტურული ზრდა. დარწმუნებული ვარ, ჩემი მთავრობა, აგრედვე ხალხის წარმომადგენელთა კრება და თვით ხალხი შეძლებისამებრ აასრულებენ თავის სერიოზულ მოვალეობას, რომელიც წინად ჰხვდათ, ჩვენ უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დასაცავად.

გამეორება აღარაა საჭირო, რომ ერთობა უდიდესსა და მნიშვნელოვან ძალას შეიცავს, იმ ძალას, რომელიც აუცილებელია ხალხის პროგრესისა, დიდებისა და სამშობლოზე ასეთ დაცემისაგან თავდასაცავად. ოტტომანთა ერთობის ასეთი სიკეთე ამ გრძნობათა გამრავლების მიხედვით გაორკეცდება, მთავრობისადმი ხალხის ნდობა გაძლიერდება. ძალიან მესიამოვნა ოტომანთა ძმურ ერთობის გამოჩენამ, რომელიც სიამაყით შევამჩნიე კოსოვოსა, მონასტერსა და სალონიკში მოგზაურობის დროს. იგივე გრძნობა გამიცხოველდა კოსოვოს, მავზოლეისა და სხვა ადგილებში გამართულ მანიფესტაციების დროს, რომლებშიაც სხვა და სხვა ერის პატრიოტობა იღებდა მონაწილეობას. ჩემი სურვილია ოტომანებში ძლიერი განვითარება მენახა იმ ძმობისა და ერთობისა, რომლებიც ასე საჭიროა სამშობლოს კეთილ-დღეობისა და წინსვლისთვის. დარწმუნებული ვარ, სენატი და პალატა, მდგომარეობისა და კანონ-პროექტის თაობაზე კამათს რომ შეუდგებიან, სამშობლოს კეთილ-დღეობა და ბედნიერება თვალწინ ექნებათ. მრწამს, მათი დადგენილება ამ მიზნით იქნება ნაკარნახევი. სიხარულით აღვნიშნავ, რომ დანარჩენ სახელმწიფოებთან ჩვენი ურთიერთობა გულწრფელი და მეგობრულია. როგორც წინად, ეხლაც განვაგრძობთ პოლიტიკას, სხვა არას ვერჩოდეთ და ჩვენი დავიცვათ. წყალობა ღვთისას ვევედრები თქვენთვის და ოტომანის პარლამენტის მეოთხე სესიას ვსნი“.

სტამბოლი. პალატამ პრეზიდენტად ისევ ახმედ-რიზა აირჩია. სეფე-სიტყვამაო,—ამბობენ დეპუტატები, —ახალი არაფერი გვამცნო. ამბობენ, კაბინეთის ბედი გადაწყვეტილიაო.

სენატის ვიცე-პრეზიდენტად ქაიდარ-ბეი დანიშნეს. ამბობენ, „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტში უთანხმოებაა და ებრაელები თავს ანებებენო.

რომი. „ტრ.“ იუწყება, ოსმალეთის მთავრობამ სახელმწიფოებს ცირ-

ქალაქი ყველაზე დიდი სოფელია, ადმინისტრატიული ცენტრი და ბაზარი ადგილი, საცა ვაჭრობაა, რასაკვირველია, სომხების ხელშია. აქაურ ჩარჩ-მევახშეს ყველა სოფლებისაკენ აქვს თავისი ქსელი გაბმული: ერთიწმინდას, ჩოჩეთს, გომში თუ სხვაგან, ყველგან შეხვდებით მევახშის მომხვეჭ ხელს, რომლითაც სიამოვნებით გვალიანებთ და მწარედ გახდევინებთ. ამ გზით ადგილობრივ მევახშეს აუარებელი მამული შეუძენია. მევახშე გაასესხებს ორიოდე თუმანს და მის სარგებელში ვენახის მთელი წლის მოსავალი მიაქვს.

ახალქალაქი ცნობილია აგრედვე, როგორც საგარაკო ადგილი; თუმცა კი მას ამ მხრივ ჰავით და ბუნებით გაცილებით ერთა-წმინდა სჯობია, მაგრამ ალბად უგზოობისა გამო თუ აქვს ერთა-წმინდას ფასი დაკარგული. თითონ ახალ-ქალაქს კი უჭირავს ჩავარდნილი ადგილი, გარშემო გორებით შემოზღუდული, ამიტომ აქ ჰაერი მუდამ შეხუთულია, და ჰავა ცხელი, ვიდრე სხვა სოფლებში.

ამ სოფელში არის სამინისტრო სკოლა, ორი სამკითხველო და საავადმყოფო მისი შტატით—ექიმით და ორი ფერშლით, თუ არა ვსცდებით.

აქ შეუძლებელია ჩუმად აუხვიოთ გვერდი სამკურნალო პირთა ზოგიერთს ახირებულ ზნე-ჩვეულებებს. აი ერთი შემთხვევა მათი ცხოვრებიდან. ერთაწმინდაში გამოიწვიეს ექიმი. უკანასკნელი არ დაჰყვა. რატომ? „ცხენზე ჯდომა არ შემიძლიან; თუ არა ეტლით, ვერ წამოვალ“-ო. ასეთი პასუხით გამოესტუმრებინა ავადმყოფის პატრონი. ეს რას ნიშნავს? ან შეძლება სადა აქვს ეტლისა გაჭირვებულ სოფლელს, ან არა და ეტლი როდია ერთაწმინდაში უგზოობისა გამო. მეორე—ხშირად თავის მაგივრად ექიმი ფერშალსა ჰგზავნის, რომელიც დიაგნოზის გარკვევაში სრულიად სანდო არ არის, მესამე—ფერშალს ჩვეულებად ჰქონია ხელცარიელად სიარული. მას, პრაქტიკის დროს, არ გააჩნია არც „საგზაო აფთიაქი“ და, ასე გას ნჯეთ, არც სიცხის საზომი. ასეთი დაუდევრობა ჩვენთვის გაუგებარია. ამის შემდეგ რა გასაკვირველი უნდა იყვეს, რომ ხალხში ექიმებს უნდობლობით უყურებენ?

ანტისანიტარული მდგომარეობა საერთოდ სოფლებისა უკიდურესია, რასაც ხელს უწყობს შიგ სოფელში გამართული კალოები.

სხვა ადგილებიდან ბარის ნაწილში საყურადღებოა: სასირეთის ჭალა (ს. სასირეთთან), როგორც ისტორიული ადგილი, სადაც მეფე ლუარსაბმა სძლია თათარ-ხანი მისი აუარებელი ჯარით 1609 წ., ს. მეტეხი თავისი ეკლესიით, რომელიც აშენებულია ვახტანგ გორგასლიანის მეფობის დროს და დღევანდლამდეა დაცული; შესანიშნავია აგრედვე ს. ჭყოპიანიც, საცა საფლავის ქვა იპრება და მზადდება როგორც თეძამის ხეობისათვის, აგრედვე შორეულ ადგილებისთვისაც.

ასეთია გაკვრითი აღწერა თეძამის ხეობის ბარის ნაწილისა.

განვიხილოთ ეხლა ხეობის მთის ნაწილი, რომელიც სრულს წინააღმდეგობას წარმოადგენს ბართან შედარებით ყოველ მხრივ.

ახალ-ქალაქიდგან გარიყულაზე გაივლით და აღმართით ერთაწმინდაში ახვალთ. შეუდგებით თუ არა ერთაწმინდის აღმართს იმ წამსვე ჰგრძნობთ აშკარა ცვლილებას ჰავასა და ბუნებაში: პირველი გრილია და მეორე მრავალფეროვანი; ნიადაგი ქვიანი და უნაყოფოა. სამაგიეროდ, მკაცრს ბუნებას თავისთან ბრძოლაში გაუფოლადებია მთის მცხოვრებნი, რომელთა უმეტესი ნაწილი, გარდა ერთაწმინდელებისა გუდამაყრიდან და ფშავ-ხევსურეთიდან გამოხეხნულნი მთიულები არიან. მთიულის ენერგიას სახნავ-სათესად ისეთი ადგილები უქცევია, საცა ბარის მცხოვრებს გავლაც გაუძნელდებოდა. სთესენ უფრო ქერს, იშვიათად პურს; სხვა იქ არაფერი მოდის. საზოგადოდ მიწის მოსავალი მთაში ძალიან გვიან შემოდის. იმ დროს, როდესაც ბარში გახურებული მკა და ლეწვაა, მთიულებში მხოლოდ ჯეჯილია. უკანასკნელად მთიულებში ყოფნა ენკენისთვის პირველ რიცხვებში მომიხდა და იურის მთის ძირზე ისევ ჯეჯილი იყო. ასეთი გვიანი მოსავალი, რასაკვირველია, ჰავის მეტის-მეტი სიგრილით აიხსნება. მაგ., ქსილისზე და მახლობელს მთებში თიბათვის ბოლო რიცხვებში თოვლი მოვიდა, ამიტომ მთიული ვერ ასწრობს ზაფხულში ბეგვას (კევრები მათში არ იხმარება; გაშლილს ძნაზე შეაყენებენ საქონელს და ფეხით აბეგვინებენ) შემოდგომისთვის გადასდებენ ხოლმე. მაშინაც, თუ ამინდმა ხელი შეუწყო—კიდევ კარგი, თუ არა და ზამთრისთვის გადასდებს. ზამთარში კალოზე გადაასუფთავებს ყნულ და დაჰბეგვავს. ხშირად შეხვდებით მთიულის კარ მიდამოზე ცასული ზაფხულის მოსავალს ჩამყაყებულს და შავად შეტრუსულს „მზე-ქარზე“. უმთავრესი წყარო ცხოვრებისა მთიულებში საქონელია ამიტომაც ჰყავთ ცხვარი და ძროხა. ბარში ჩამოაქვთ მატყლი, კარაქი, ერბო და, სამაგიეროდ, აღებული ფულით ყიდულობს ჭირნახულს და მთაში ააქვს. ხასიათებით მთიული დინჯი და ზომიერია. სიტყვა-პასუხი მეტად ზრდილობიანი და ალერსიანი. აქვს უცხოსთან და შინაურთან. მთიული რაც უნდა მოთმინებიდან გამოვიდეს მისგან უშვერ ლანძღვა-გინებას ვერ გაიგონებთ. ერთმანეთს უსიამოვნებაში თავიანთ მამა პაპის სალოცავებს ჩამოამწყარალებენ ხოლმე. ენა მათში უფრო დაცულია და სუფთა, თავისუფალი შერეულ სიტყვებისაგან, რაც ხშირად ბარელებისაგან გვსმენია. მაგ., ბარში გაიგონებთ ასეთს გამოთქმას: „ჩენთვის სო რანოა“-ო (რუსულად все равно); ან კიდევ; „მე უფოც ვიყავი“ (уже) და სხვ... მთიული სერიოზული ცნობის მოყვარეა.

ჩინეთის რევოლიუცია

დეპეშები

ხანკოუ. ლოიალი გემები რევოლიუციონერთა მხარეს გადადის. დაწყებული თარეში და ცეცხლის მოკიდება სასტიკად აკრძალეს. ნწამქეზებელი დასაჯეს. რევოლიუციონერები მხოლოდ მთავრობისა და მანდარინთა სახლებსა სწვავენ. ყოველ დღე სროლა და ცეცხლის მოკიდებაა.

ხანკოუ. ჩინეთის გემები უჩანფუს უყმბარებს უშენდა. იგი შეწყვეტილი იქმნა უცხოელთა კრეისერების მოთხოვნისამებრ. რევოლიუციონერებიც უპასუხებდნენ და ეს კი უცხოელთათვის საშიში იყო.

პეკინი. ოლქ იუნფინუში ადლუში გადასდეს. უჩანფუს ჯარის უფროსი—ჩანბიანი გადააყენეს. პროვინცია ქუბეიში ჯარს ჩქარის მატარებლით ჰგზავნიან. სატახტო ქალაქის დასაცავად სასტიკი ზომებია მიღებული. უჩანფუს დროებით მთავრობას განთქმული რევოლიუციონერი, ფიციერი ქუანსინი ჰმეთაურობს.

მუკდენი. ქუბეის პროვინციაში მეფის საგვარეულოს წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობის გამო, მანჯურიის გენერალ-გუბერნატორს ებრძანა მუკდენს დაბრუნდეს და შესაფერი ზომები მიიღოს.

პეკინი. ბოგდიხანის ბრძანებით იუკშიკაი-ქუგუანის, ცუნჩუნსუენი კი-იჩუანის ვიცე-კოროლად დაინიშნა. მათ განკარგულებაშია ყველა სამხედრო ძალა ბეიმბოხეებთან საბრძოლველად.

რევოლიუციონერთა მხარეზე გადასულს ჯარსა და ყანდარმერიას გენერალი ლი ჰმეთაურობს. ყველას, ვინც ძარცვა-გლეჯას იწყობს სიკვდილით სჯიან.

საკონსტიტუციო პალატის გაზეთი „ჰომინ გუბანო“ ამბობს,—ერთად ერთი ხსნა დიქტატორის დანიშვნაა.

ხანკოუ. მთავრობის ჯარი და რევოლიუციონერები ქენაანის პროვინციაში შეებრძოლებიან მანჯურთა სახლებს აწიოკებენ, მცხოვრებთ ხოცავენ. უცხოელებს პატივისცემით ეპყრობიან. ტელეგრაფი რევოლუციონერთა ხელშია. ჩინეთის დეპეშებისათვის სასტიკი ცენზურა დაწესეს. უცხოელებს რევოლუციონერთა ჯარისკაცნი სამხედრო სალამს აძლევენ.

ხანკოუ. რევოლიუციონერთა ლაშქარში 25000 კაცამდეა. რევოლიუციონერებს მარცხენა მკლავზე თეთრი ტილო აქვთ. დღეს რევოლიუციონერებმა ნება მისცეს მთავრობის—ქალალდის ფულს იხმარებდესო. მდ. ხუანხეს ხიდის აფეთქების ამბავი ტყუილია.

ხანკოუ. ვლადივოსტოკიდან სამხედრო ნავი „მანჯური“ გაიგზავნა.

პეკინი. ფულის ბაზარზე შიშიანობაა. ჩინეთის პანკები ფულის უკან დაბრუნებას ვერ ასწრებენ. ბევრი კერძო ბანკი დაიხურა. ქუბეისა და ქუნანის ქალალდების ფასი დაეცა. ქუბეი—ქუნან—ძიანს—სიჩუან—გუიჯო—იუნანის ტელეგრაფის მოქმედება შეწყვეტილია, სამხრეთისაკენ ხუთი მატარებლით ჯარი გაჰგზავნეს.

სპარსეთის არეულობა

დეპეშები.

ურმია. რევოლიუციონერები პროკლამაციაში გუბერნატორის უმოქმედობას ჰგმობენ და ურჩევენ სამადანის საწინააღმდეგოდ მოხალისეთა რაზმი შეადგინეო. ირწმუნებიან, სპარსეთის დაპერილ ოლქებში ოსმალეთიდგან 10 სამხედრო ესკადრონი დაიბარესო. ოსმალონი კუშჩის უღელტეხილის ასაღებად სოფ. ბარისა და კუშჩის მცხოვრებთ აწუხებენ. ახლახან ქურთებმა რამდენიმე მცხოვრები გაძარცვეს.

თეირანი. მეჯლისმა 63 ხმით 73-ში მოიწონა სამხედრო სამინისტროს პროექტი, ჯარის გასაწვრთნელად

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოს ბიუროს)

30 სექტემბერი.

ბალკანეთ-ბალკანედ.

სტოკჰოლმი. ნობელის სალიტერატურო პრემიის მეტერლინკს მიუსჯიან.

სოფია. კაზეთები იუწყებიან კონსტანდიდში ეტლობებმა ეკლესიები ისროდეს, სამხედრო სასწავლებლის ასოციეთქებდან ეფეთქება არ მომხდარა. დარჯას სროდაზე რამდენიმე ჯარისკაცმა მეირბინა. ბოროტ-გამზრახველებმა დამალვა მოასწრეს.

ძატანია. მიწის ძვრა იყო. გვარდიასა და ვენერინში რამდენიმე სახლი დაიქცა და ორი კაცი იმსხვერპლა. ზოგან ეკლესია ჩამოინგრა.

ბერლინი. ბერლინსა და სხვა ადგილებში ბევრი ანარქისტი დაუპატიმრეს, რომელნიც ჯარისკაცთ კაპარეას ურჩევდნენ.

ზრენა

ბერნი. მფრინავი შმიდტი, რომელიც ბელგიისაის საავიაციო კვირაში მონაწილეობას იღებდა, 50 ადგილის სიმაღლიდან ჩამოვარდა. მიწაზე დაცემასა ბენზინი აფეთქდა. აპარატი და მფრინავი მოდად დაიწვა.

რუსეთი.

პეტერბურგი. მიტროპოლიტი ანტონი ჩრდილოეთ კავკასიიდან მეტერბურგს დაბრუნდა.

თუ შეგატყობთ, რომ შეუძლიან თქვენგან რამე სასარგებლო შეიძინონ, კითხვას-კითხვაზე გაძლევთ—არ გასვენებთ და სულ თქვენ გალაპარაკებთ. სადაო საკითხის გადაწყვეტაში შესამჩნევ „თავდაჭერას იჩენს—არ ჩამოგართმევთ ლაპარაკს. თითონ-კი არ უყვარს გაჭიანურება და ძალიან მოკლედ და მკაფიოდ გიჭრით პასუხს. კარგ მხარეებთან მთიულს ცუდი მხარეებიცა აქვს: იგი ძალიან მისდევს სასმელს და თუთუნს, მეტადრე უკანასკნელს, რომელსაც სიამოვნებით სწევენ ყმაწვილებიც-კი თექვსმეტი წლიდგან დაწყებული. ასეთია საერთო შთაბეჭდილება მთიულის შესახებ. მეტი წილი მთიულების სოფლებისა ქსილისის და სატალაოს მთების შორის არის. სახელდობრ, აქ არიან შემდეგი სოფლები: გოგოთი, გოსტიბე, ალდე-კაფნევი, ზენადრასი და რკონი ზედ თეძმის პირად არიან. ყველა ჩამოთვლილი სოფლები შედიან ერთა-წმიდის სამამასახლისოში. ამათ გარდა ამავე საზოგადოებაშივე შედიან გარიყულა და კაპრაშიანი, რომლებიც ახალ-ქალაქსა და ერთაწმინდის შუა მდებარეობენ.

(შემდეგი იქნება)

შუშა. სხვისგან ეგზავნება ბრბო კვ-ბერდის, ეარდადდის და ტეკის დეტ. 40-ტ რკინი საქონელი, 27 ტხენი და 6 აქლემი დაირეკვა. მოსაზღვრე სადარაჯოს ბოქაულმა სხვისთვის კადაგიდა და საქონელი უკანვე გამოიარეკა. ბრბოს დარჩა ტხენები და აქლემები.

პეტერბურგი. ბოსტნეულობისა, მეფუტკრეობისა და მეხიდეობის გამოფენა გაიხსნა.

მოსკოვი. გაიხსნა საშუალო სასწავლებლის მოწვეთა სოციალ-დემოკრატიულ კავშირის საქმე. ბრალს სდებდნენ ექვსს. ორი საზღვარ-გარეგ გაიქცა. სამი გასამართლდეს, ერთს 8 თვის ციხე მიუსაჯეს.

მოსკოვი. ინჟინერ ვეიტერეთ ჯეგუფი კენერალ ხოძუსა და ინამგუტის მეთაურობით ჩამოვიდა.

სევასტოპოლი. ბუსარის ემორი მოვიდა.

ბრძოლა ჰაერში

„რუსკია ვედომოსტის“ რეიმის კორესპონდენტი შემდეგსა სწერს გაზეთს.

უკვე დეპეშით შეგატყობინებთ, რომ დღეს გახსნილი საბრძოლო ჰაეროპლანების გაჯიბრება, რომელსაც მიზნად აქვს ომისთვის შესაფერი საფრენები შეარჩიოს. ეხლა, შეიძლება ითქვას, ევროპის დიდი ომიანობა მოელის და ამ ბრძოლაში, რასაკვირველია, ის გაიმარჯვებს, ვისაც „იარაღის მეოთხე დარგი“ ეჭნება, ე. ი. ჰაერში მფრინავი ჯარი ეყოლება.

ყველაზე ბევრს ამ საქმისთვის საფრანგეთი ხარჯავს. ამას წინად პარლამენტმა სამხედრო ფრენის განსავითარებლად ათ მილიონ-ნახევარი მანათი გადასდო. ამიტომაც არის დიდი ჯილდოები დანიშნული: პირველი—40 ათასი მანეთს უდრის.

ახლანდელ გაჯიბრების პროგრამა ვრცელი არ არის. 8 ჰაეროპლანს სასპორტო სისწრაფე არ მოეთხოვება. სამხედრო მანქანას ორი ლირსება უნდა ჰქონდეს. 3 კაცის აყვანა შეეძლოს და დროზე ძირს დაეშვას. ჰაეროპლანებს სცდიან; ხოლო სამხედრო მიზნის განხორციელება ჯერ კიდევ ადრეა. თუმცა მემანქანენი სცდილობენ ეხლაც საქმე ისე მოაწყონ, რომ ზეიდან ნაღმის სროლა შეიძლებოდეს. მაგალ., ახალგაზდა კოანდა მუშაობს ამ საქმის გამოსარკვევად. მან წარადგინა მანქანა, რომელიც ჰაეროპლანებს ეჭნებათ მიკრული. ის მანქანა კამერა-ობსკურას მოგვაგონებს. მფრინავი შიგ იყურება და ყველა იმ ადგილს ჰხედავს, რომელზედაც გაივლის. განსაკუთრებული მოწყობილობა ნებას აძლევს ადამიანს განსაზღვროს, თუ როდისაა საჭირო ნაღმის სროლა. ეს, რასაკვირველია, მომავლის საკითხია.

მაგრამ რეიმს დავუბრუნდეთ. გაჯიბრების კომიტეტს სამხედრო სამინისტროს, საჰაეროპლანო პარკისა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი შეადგენენ. მონაწილეობას იღებენ საავიაციო პარკის აფიცრები. პირველად ვნახე საქმეში გართული ფრანგის აფიცრები და ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ჯარის-კაცთ ძალიან კარგად ეპყრობოდნენ, უაზარმული სუნი არ ემჩნეოდათ.

საფრენ ადგილად ერთი დიდი წრე არის ამორჩეული. აქა-იქ სამანქანო შენობებია. მაყურებელთ ბევრი ადგილი აქვს მიჩნეული. ეტყობათ, ძალიან ჰსურთ ყველაფერი საჯაროდ დღესასწაულებრივ მოაწყონ: დაე ყველამ გვიყუროს, გაიგოს, როგორ ვმუშაობთო.

— თქვენებმა რუსეთში ამ გაჯიბრების ამბავი იცინ? ეინტერესებათ?—მკითხა პარკის უფროსმა, როდესაც ბილეთს მაძლევდა.

— მარტო ერთი ხართ რუსეთის პრესის წარმომადგენელი?—მეკითხება გენერალი როკი, სამინისტროს საავიაციო ნაწილის უფროსი.

მასპინძლების წყენა არ მინდოდა თორემ განა არ ვიცი, რომ რუსეთში ეს გაჯიბრება დღეს არავის აინტერესებს.

ახლა ჰაეროპლანებს შევეხოთ. ინჟენერი არა ვარ და კონსტრუქციას არ შევეხები. მე მხოლოდ მიმართულებას აღვნიშნავ.

უპირველეს ყოვლისა, მოტორის სიძლიერის ზრდა აღსანიშნავია—140 ცხენის ღონე! სამ აპარატს ერთი მოტორის მაგიერ, 70 ღონისა აქვს, ერთი პროპელერით არის შეერთებული. ამიტომ უბედურება ისე ხშირად არ მოხდება, როგორც წინად. თუ ერთი მოტორი გაფუჭდა—მეორე უშველის.

მოტორის სიძლიერე აპარატის ზომას აპატარავებს. ეს კი დიდი ნაბიჯია წინა.

ზოგიერთ ჰაეროპლანს ოთხი თვალი აქვს. იგი ნამდვილი ავტომობილია. ერთი ასეთი ავტომობილ-ჰაეროპლანი თითონ მოვიდა ჰაეროდრომზე. ყველაზე საინტერესო ჰაეროპლანიდან დაზვერის საკითხია. იმ აპარატებში, სადაც ჩაღრმავებულ ნავში სხედან მგზავრიცა და პილოტიც, თუ რისიმე დანახვა უნდათ, წინ უნდა წაიწიონ, ან და აპარატის მდგომარეობა შესცვალონ. ეს კი ძნელია და მანქანის მართვასაც ხელს უშლის. ისე კი, ჰაეროპლანში მჯდომი შორეულ ადგილებს უფრო კარგად ჰხედავს, ვიდრე ახლოს. ამიტომ იმ ჰაეროპლანს უფრო აქვს ფასი, რომელსაც მოტორი და პროპელერი მფრინავის უკან აქვს მოთავსებული. ასე მოწყობილ ჰაეროპლანიდან ყველაფერი კარგადა სჩანს.

გაჯიბრებაში 15 კონსტრუქტორი და 34 აპარატი იღებდა მონაწილეობას. ჰაეროპლანი 30 სხვა და სხვა ტიპისაა.

ეიფერის დიდი ასპარეზი აქვს სამოქმედოდ და დიდი სიფრთხილე ჰმართებს, იქ წარდგენილ აპარატებში. საუკეთესო ამოირჩიოს

ყველა ეს იმაზ შეჰქმნა, რომ საქმეს პოლიციის ზედამხედველობა და საქმის შემაფერხებელი უსულო კონტროლი აკლდა. ჩვენში კი ეს აღჩობს ყველაფერს, მაგალითად, ფრენის საქმესაც.

სასამართლო

დონის როსტოვი. 24 ენკენისთვეს აქ საოლქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გაირჩა საქმე გადმოსახლებულების დანელიას, ქურდანაშვილისა და მადულაძესი. ესენი მიმდინარე წლის 22 თებერვალს ღამე რკინისგზის სადგურთან გადასავალ ხიდზე დაეცნენ დანით სადგურის კასირს და წაართვეს 54 მან., საათი და ცხვირსახოცი. დამცემთაგანი ორი იმ ღამესვე დაეპატიმრეს ტურპაკის ღამისათევ სახლში, სადაც ქართველ გადმოსახლებულ მუშების მეტი ნაწილი სცხოვრობს. დაპატიმრებულთ ზედ აღმოაჩნდათ საათი, ცხვირსახოცი და ფული სრულად, მხოლოდ ორი თუ სამი გირვანქა პური ეყოდათ. მესამე-მადულაძე შეიპყრეს მეორე დღეს. ეს უკანასკნელი გასამართლებას ვეღარ მოესწრო და ციხეში სიხვიდით გარდაიცვალა. სასამართლოს წინაშე წარსდგნენ დანელია და ქურდანაშვილი. ორივეს საკუთარი დამცველები ჰყ-ვდათ. უკანასკნელის დამცველი შიკი დაცვის დროს შეეხო კავკასიაში ადმინისტრატიულ დევნის საქმეს, ეგონდა ეთქვა, რომ გადმოსახლების საქმე რიგიანად არ იყო დაყენებული, მაგრამ თავმჯდომარემ შეაჩერა.

ნაფიცმა მსაჯულებმა ბრალდებულნი დამნაშავედ იცნეს, მაგრამ დაადგინეს რომ სასჯელის შემსუბუქების ღირსნი არიან. სასამართლომ დანელიას, როგორც მეორეწლოვანს, გადაუწყვიტა ორი წლის საპატიმრო, ხოლო ქურდანაშვილს სამი წლის ტუსაღთა გამასწორებელი რაზმი. **ხგ.**

თეატრი და ხელოვნება

დონის როსტოვი. პირველ ოქტომბერს ცნობილ მსახიობ სობოლშჩიკოვ-სამარინის დასი რუსულად მეორედ წარმოადგენს სუმბათაშვილის ცნობილ პიესას „ლალატს“. როგორც ამას წინადაცა ვწერდი, ამ პიესას ადგილობრივმა რუსულმა (?) გაზეთმა „პრიაზ. კრაი“-მ წერილი უძღვნა, რომლითაც დაწუნების ბეჭედი დაასვა—პიესა დაძველებულია და უფერული, მსმენელს გულს ურევსო... დაე ამან გააწითლოს ამ სიტყვების ავტორი... პიესა რომ დრო მოკმშული, გაცვეთილი, გულის გამწყალებელი იყოს, ხალხს რომ არ ესიამოვნებოდეს, არ გაიმეორებდნენ და თუ იმეორებენ, სჩანს, ამის მოთხოვნილება ყოფილა, სობოლშჩიკოვ-სამარინმა ხალხის გემოვნების ალღოს აღება იცის. მაგრამ... აბა რით ესიამოვნება „რეცენზენტს“, რომ სცენაზე ღრიალებენ „გაუმარჯოთ ქართველებსაო“ და სხვა. წარმოდგენას მართმავენ ღილით, იაფ-ფასებში, რომ ხელ-მოკლე ხალხს შეძლება მიეცეს მოისმინოს ეს პიესა. პიესას, როგორც ვწერდი, საუკეთესო აღმასრულებელები ჰყავს გარდა ერთი-ორისა. პირველ წარმოდგენას 18 ენკენისთვეს, ხალხი იმდენი დაესრო, რომ თეატრში, ჩვენებურად რომ ვსთქვათ, ნემსის კუნწი არ ჩაეტეოდა... **ხგ.**

ქუთაისი. „ავადმყოფი ხალხი“ არა ერთხელ წარმოდგენილა ჩვენ სცენაზე. ამ პიესის განმეორებამ დაგვანახა, რომ ჩვენს სცენას ემატება სერიოზული ძალები, რომლებიც წარმატების გზაზე არიან დამდგრები და, ეტვი არ არის, ჩვენი სცენის დიდა ბოძად შეიქნებიან, ისე, როგორც იყვნენ მესხიშვილი და მის თანამედროკე მსახიობნი. **ა. იმედაშვილისა** და **ს. ზარდალიშვილის** თამაში ამის უტყუარი საბუთია. რა ვთქვა **ქ-ნი ნანა ჩხეიძის** ასულის შესახებ იმის მეტი, რომ ავგუსტას პატარა როლი მან გაადიდა, სცენის უკანა პლანიდან იგი მან წინ წამოაყენა, უმნიშვნელო როლი თვალ-საჩინოდ გახადა. შოლიკისა და მისი ცოლის აღმასრულებელნი **კორიშელი** და **ო. ღოლობერიძე** სუსტნი აღმოჩნდნენ. კორიშელს, რომელიც ჩვენ დაკვირვებულ და შეგნებულ არტისტად მიგვაჩნია, შოლიკის როლისთვის ტემპერამენტი არ შესწევს და ამიტომ შოლიკის მრისხანება ყვირილში გამოიხატა. **ქ-ნი ო. ღოლობერიძისამ** მთელი ორი მოქმედება წუწუნში გაატარა, რომელიც სიცილს უფრო იწვევდა ვიდრე სიბრალულს.

საზოგადო შთაბეჭდილება წარმოდგენისა, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო, დიდი იყო.

გომართელის „დრამატიული საზოგადოების გამგეობის წევრი“ მხიარული პიესა აღმოჩნდა, ცოტა გადამლა. შებული და გაჟიანურებული რომ არ იყოს. **აქ ვ. ურუშაძემ** თავი ისახელა მსახურის როლში მკვირცხლი და მოსწრებული თამაშით. **ა. იმედაშვილს** უნდა ვუსაყვედუროთ, რომ თავს ვერ იკავებდა და სცენაზე იცინოდა.

განცხადებანი

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს კარდ. დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ე. ბ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბგბიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. ბულანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

ბ. გ. ავეტიანიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. ბ. პუგანოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ხ. ზილბერშაცი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

ბ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებია, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შიგან. და სიბავშვო.

ბ. ბ. ბაბახანოვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. ბ. ხ. ზილბერშაცი: 6—6 ნ.ხ.-ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

მ. ბ. ავეტიანიანცი: 6—7 საათ.

11—12 ს. **606** **ნაკლოვანება,**

კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ფარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის **დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.**

(ნ. (1168—146)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანიხა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 9—10 ს. საღამ. 6—7 ს. შუთშაბათიით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაოებით ავადმყოფებს არ იღებს. მოხკოვის ქ. N ჩაბლი კაბაშვილისა (ნ)

სამკურნალო კაბინეტი

ექიმ კ. ს. ფონ-ირცელისა

(ელისაბედის ქ., № 17, ცერკოვნი მისახვევის პირდაპირ).

სპეციალისტი-ქირურგი (ბიმხვნისა), ხა შარდ ბუშტისა, მილისა, თირკმელებისა და სახქმოს ორგანოთა (ეღონობა, ნერვიული ხიხუსტე, ჩუკუნების შედეგი), ათამანგისა და მის შედეგთა, (ერლიხის „6 0 6“-ის ხმარებით და ბერლინის კლინიკათა სწვა ხაშუალებით), გენერიულ ავადმყოფობათა (სუსუნატისა და მილის დავიწროვების წამლობა), კანის სნეულებათა წამლობა გლვკტრონით და აპერაციები.

ავადმყოფთა მიღება დილის 9—12 საათამდე და საღამოს 5—8 ნახ. საათამდე. ქალთათვის ნაშუადღევის 2—3 საათამდე. (25.1505.15)

გამოცდილი მასწავლებელი

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას ქოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით:** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სავაჭრო, სასწავლებლისთვის, სატყვნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბები ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე. ყველა კლასის ჩინახთვის.** ლებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, **ბანხოფში.** მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებიადეს ადნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, № 28, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო ზარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. (ო.—1084—42)

გაუფრთხილდით სიყალბეს!

პროგიზორ

გ. ფ. იუგერნსის

ბორნო-ტიმოლის

● ს ა ბ ო ლ ნ ი ●

ოფლისა, ფეხის ნამწვისა, ძიძიბებისა, მელასი და ეკორფლის წინააღმდეგ **კეთილ-ხუნელოვანი ხელახ საბონი უმაღლესის ღირსებისა.**

ყველგან იყიდება.

1/1 ნაჭერი 50 კ. 1/2 ნაჭ.—30 კ.

Метцль. 5215. (13—11/3—1)

ქირავდება

კარგ ქართველ ოჯახში

სუფთა, ნათელი და ფართე ოთახი მოწყობილობით, განათება-გათბობით.

გუნიბის ქუჩა (ვერაზე), № 45.

(5—3)

სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭრეთ

ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი, № 9, ტელეფონი № 712,

✦ ახალ-ახალი ✦

ოსეტრინა (ზუთხი) **სევრიუგა** (ფარფანა).

— ◀ დ ა ო ბ ა ზ ე ლ ი ▶ —

ყოველ დღე ცხელი დოლმი

◀ საუკეთესო პაიხუნი ხიზილალა გირვანქა 1 მ. 40 კ.

ახალი კეტოვი ხიზილალა

აგრეთვე მივიღეთ ხაუკეთესო ღირსების ხელიოდაკეზი სამეფო, დუნაისა, რიგისა და ჭერჩისა.

(ნ.—1051—)



ГАЛОШИ ТРЕУГОЛЬНИКЪ

(40—1465—10)

Тво

„Проводникъ“

ГАЛОШИ

Наилучшія въ мірѣ

Полная гарантія за высшую прочность и доброкачественность каждой пары

ГОДОВОЙ ОБОРОТЪ

35,000,000 РУБ.

ШИНЫ

АВТОМОБИЛЬНЫЯ
ВЕЛОСИПЕДНЫЯ
ЭКИПАЖНЫЯ

БЕЗСПОРНО САМЫЯ ЛУЧШІЯ ВЪ МІРѢ

ПРОИЗВОДСТВО ВСѢХЪ РЕЗИНОВЫХЪ ИЗДѢЛІЙ, ЛИНОЛЕУМА и АСБЕСТА.

СКЛАДЫ и МАГАЗИНЫ ВО ВСѢХЪ ГОРОДАХЪ РОССІИ.

(40.1528.1)

გამოვიდა და იყიდება

თხზულებანი:

არჩილ ჯორჯაძისა:	წ. I. „ერთგულ ბრიგადიერის გარშემო“,	ფ. 75 კ.
„ „	წ. II. „ჩვენი ბაზარ-ადგილობრივობა“. . .	ფ. 80 კ.
„ „	წ. III. „ნაბრძვი“	ფ. 65 კ.
Bato n-ისა:	„ერი და კეთილობა“	ფ. 1 ს. 20 კ.
ვ. ყიფიანისა:	«ხამგრძელზე მთავარი ლვაბ», იხტ. დრამა	ფ. 40 კ.
ნ. ფიუკაშვილისა:	«მეგობრობა», 4 მოქმ. დრამა	ფ. 30 კ.

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. ს. წ. კ. ბ. ს. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

ვ ე ურ ჩ ე ვ თ

ბრინჯის ჰიგიენურ

● კუდრთა მეფეს ●

La Reine des poudres

ხამ ფერისა (თეთრი, ვარდის ფერი, რაშელი).

— ◀ 1900 წ. პარიზის ოქროს მედალი ▶ —

პატარა კოლოფი 30 კაპ., დიდი კოლოფი 50 კაპ.

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია“.

მთავარი საწყობი:

ტფილისი, საოფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.

(11—1295—5)

სტამბა „სოფლისა“, მიდამოთა ქუჩაზე.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ბუხრიძე-ბაბაშვილი.